საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება/Business Administration

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

ფაკულტეტი: ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციის კოდი: 02- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი/Bachelor of Business Administration

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა (ECTS): 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: გივი დუჩიძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: პროგრამაზე დაშვების უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების ან კანონმდებლობით დადგენილი წესით მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს ამავე სასწავლებლის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა შესაბამისად შიდა/გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და ამავე სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების, მოთხოვნების და ვადების შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის გეგმური ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი, ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს. წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს.

1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს, 1 ასტრონომიული საათი = 60 წთ.

კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

საბაკალავრო პროგრამის საერთო მოცულობაა 240 ECTS კრედიტი = 6000 სთ.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი.

პროგრამის განხორციელების სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს სასწავლო კურსებს

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან, სადაც 32 - კრედიტი **საუნივერსიტეტო (ზოგადი) სასწავლო კურსების** საგნებია, 8-კრედიტი არჩევითი საუნივერსიტეტო კურსების საგნებია, 160 - კრედიტი **პროგრამის სავალდებულო კურსების საგნები**, ხოლო დანარჩენი 40 კრედიტი - **პროგრამის თავისუფალი კომპონენტია**.

შენიშვნა: *იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 აკადემიური წლის, ანუ 8 სემესტრის განმავლობაში პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა 4 (ოთხი) დამატებითი სემესტრის განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს აკადემიური ხარისხი.*

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა-4(B2.2).

ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე.

განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის.

დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

* ინგლისური ენა (A1) 0-41 ქულა;

* ინგლისური ენა (A2) 41-51 ქულა;

* ინგლისური ენა-1 (B1.1) 52-61 ქულა;

* ინგლისური ენა-2 (B1.2) 62-71 ქულა;

* ინგლისური ენა-3 (B2.1) 72-81 ქულა;

* ინგლისური ენა-4 (B2.2) 82-100 ქულა

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 20 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დამატებით 10 კრედიტს აგროვებს პროგრამის თავისუფალი/ასარჩევი საგნების

კრედიტების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნის დონეს - B2. სტუდენტი, რომელიც პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე) დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს (FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78) გათავისუფლდება ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან, ხოლო პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 20 კრედიტს დააგროვებს თავისუფალი/არჩევითი საგნების გავლით.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი, მრავალმხრივი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ბიზნესის სფეროში საქმიანობისთვის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები. შეძლებს მმართველობითი საქმიანობისთვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმას, ბიზნეს კომპანიების ეფექტიან მენეჯმენტს, ბიზნეს გარემოს შეფასებას, ორგანიზაციის საწარმოო პროცესების და ოპერაციების შესწავლას და მართვას,
2. მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ფინანსების ოპტიმალურ განაწილებას, პროდუქტის შექმნასა და გასაღებისთან დაკავშირებული სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას, ბიზნესის სფეროში საქმიანობის წარმართვას.
3. მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, ქართულ და ინგლისურ ენებზე საქმიანი კომუნიკაციების დამყარებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწორი და არგუმენტირებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას.

პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

1. ეცოდინება ბიზნეს ორგანიზაციები და მათი მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, მენეჯმენტის სხვადასხვა მიმართულებით გაადწყვეტილების მიღების მეთოდები, სხვადასხვა დონის მენეჯერების უფლება-მოვალეობები; ფირმების მმართველი ორგანოების უფლებამოსილებები, ვალდებულებები და პრინციპები, კომპანიების ზოგადი მართვის სტრუქტურა, აღმასრულებელი ორგანოების და აქციონერების როლი; მათი კავშირი ორგანიზაციის სტრატეგიასთან;

2. ეცოდინება ოპერაციათა მართვის მეთოდები, ოპერაციების როლი ორგანიზაციაში და მათი კავშირი სხვადასხვა ფუნქციონალურ მიმართულებებთან, პროექტების მომზადება, მათი მენეჯმენტის და იმპლიმენტაციის ძირითადი პრინციპები და მეთოდები, პროექტში დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და მუშაობა;
3. გაცნობიერებული ექნება სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი და მისი განხორციელების მნიშვნელოვანი კომპონენტები; მარკეტინგული სტრატეგიის ფორმირების, მომხმარებელთა ქცევის ძირითადი პრინციპები და თეორიები;
4. ფინანსური ანგარიშგების ხერხები და მეთოდები, ბიზნესთან დაკავშირებული საგადასახადო სამართლის ნორმები და ვალდებულებები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

5. შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ბიზნესის სტრატეგიის შემუშავებაში და კომპანიის საოპერაციო პროცესების მართვაში; აქვს ბიზნეს ორგანიზაციების მენეჯმენტის სხვადასხვა მიმართულებით გაადწყვეტილების მიღების უნარი, შეეძლება სხვადასხვა დონის მენეჯერული უფლება-მოვალეობების შესრულება;
6. აქვს ბიზნესში განხორციელებული ოპერაციების, ბუღალტრული დამუშავების და საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების უნარი აღიარებულ სტანდარტებზე დაყრდნობით, შეძლებს პროექტის სისტემური დოკუმენტის შექმნას, შესაბამისი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას;

დასკვნის უნარი

7. ექნება ბიზნესის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემური ამოცანების, მასზე მოქმედი ფაქტორების და ანალიზის, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო პერსონალის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შეფასების, ანალიზის და დასკვნის გამოტანის უნარი; ფინანსური ანგარიშგების სათანადო მეთოდებით გაანალიზების, ასევე ფინანსური მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ არგუმენტირებული დასკვენების ჩამოყალიბების უნარი

კომუნიკაციის უნარი

8. შეუძლია ბიზნესთან დაკავშირებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით პრეზენტაციის ფორმით; აქვს დისკუსიაში დარგისთვის დამახასიათებელი პროფესიული ტერმინოლოგის გამოყენების უნარი, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე; აქვს უნარი დაინტერესებულ პირებს, როგორც სპეციალისტებს, ისე არასპეციალისტებს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, აღწეროს დასმული პრობლემის არსი და დასახოს გადაწყვეტის გზები; აქვს უნარი მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში, შეძლოს კომფლიქტური სიტუაციის მართვა;

სწავლის უნარი

9. ბიზნესის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და სხვადასხვა კუთხით შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი;

ღირებულებები

10. შეუძლია ორგანიზაციული კულტურის და ღირებულებების გათავისება, აქვს საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, პასუხისმგებლობის და კომფიდენციალურობის მნიშვნელობის ცოდნა/გაცნობიერება, საქმის ეთიკური და სამართლის ნორმების დაცვით წარმოების უნარები

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ლექციებთან ერთად გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სხვა აქტიური მეთოდები, სალექციო მეცადინეობის დანიშნულებაა ძირითადი თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით, აგრეთვე დასაუფლებელი დისციპლინის ცნებების შესახებ, სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც შემდგომში ღრმავდება სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების დანიშნულებაა სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის-განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართება როგორც ინდივიდიალური, ისე ჯგუფური სწავლების მეთოდებით. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით.(დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით)

სტუდენტის მიღწევების შეფასება:

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა)ხუთი სახის დადებით შეფასებას

ა.ა) “A” ფრიადი-შეფასება 91-100 ქულა;

ა.ბ)“B“ ძალიან კარგი-მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

ა.გ) „C“ კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

ა.დ)“D“ დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

ა.ე) “E” საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასებას:

ბ.ა) (FX)ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება

ბ.ბ) (F)ჩაიწრა-მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასებების შედეგებით სტუდენტამა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, არანაკლებ 40%+1=25 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის გასვლა სავალდებულოა მიუხედავად იმისა, სემესტრის განმავლობაში სტუდენტის საერთო შეფასება ტოლია, ან აღემატება 51 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასება/შეფასების მინიმალური ზღვარი დაკამყოფილებული აქვს.

დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 40%=16 ქულა.

დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს Fx მიღების შემთხვევაში: დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს, თუ სტუდენტს უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, Fx-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0

შენიშვნა: ცოდნის დონის დადგენის მიზნით, თავდაპირველად უნდა ჩატარდეს ინგლისურ ენის დონის განსასაზღვრი ტესტირება ყველასათვის, რის შემდეგაც გადანაწილდებიან სტუდენეტების სხვადასხვა დონეებზე .

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დროს შეძენილი დარგობრივი და ზოგადი(ტრანსფერული) უნარები, კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს კერძო და სახელმწიფო სექტორში, სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში, სადაც ის შეძლებს პრაქტიკულად განახორციელოს ძირითადი პროფესიული ფუნქციები, როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდში მუშაობის დროს. დასაქმების შესაძლო სექტორებია, როგორც კერძო ბიზნესი, ისე სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის დარგობრივი ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები. ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მიღებული ცოდნით

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

ნიუ-უნივერსითს გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომლის გამოყენება უზრუნველყოფს დასახული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციას და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

შენობა-ნაგებობა - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრაამა ხორციელდება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობაში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები,პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი) შენობა სრულიად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს,, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარი (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, სადაც ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ინვენტარით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარით და ტექნიკით (სკამები, მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის.